პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ურთიერთმკვეთი საკითხების (გენდერი, ეთნიკური უმცირესობები და შშმ პირები) გათვალისწინების შესაძლებლობების ზრდა

პოლიტიკის დოკუმენტი

ავტორები: თათა გულიშვილი

გიორგი ხაჩიძე

მიხეილ არაქელიანი

მარიამ ბეგოიძე

2024

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, პროექტ „საჯარო პოლიტიკის საპილოტე ინიციატივები ახალგაზრდების ჩართულობისა და მენტორობის გაძლიერებისათვის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრი (CSD). მოცემული პუბლიკაციის შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ავტორების პასუხისმგებლობას და შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის და CSD-ის შეხედულებებს.

სარჩევი

რეზიუმე.....3
პრობლემის აღწერა.....4
ალტერნატივების ანალიზი.....9
დასკვნა და რეკომენდაციები.....12
დანართები.....17
დანართი N1. ინდიკატორების ნუსხა.....17
დანართი N2. სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი.....21
დანართი N3. სამაგიდო კვლევის ფარგლებში გაანალიზებული პოლიტიკის დოკუმენტების ჩამონათვალი.....22

რეზიუმე

ღია და ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავების პროცესი გულისხმობს გამჭვირვალე, მტკიცებულებებზე დაფუძნებული, ხელმისაწვდომი და ანგარიშვალდებული პოლიტიკის შექმნას, რომლის შედეგებიც მოიცავს მოქალაქეთა რაც შეიძლება დიდ რაოდენობას და რომელშიც გათვალისწინებულია სხვადასხვა ჯგუფის ხმათა მრავალფეროვნება და საჭიროებები. პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში ურთიერთმკვეთი საკითხების ინტეგრირება მნიშვნელოვანია, რათა პოზიტიური გავლენა, რომელიც მოსდევს პოლიტიკის განხორციელებას, თანაბრად გავრცელდეს საზოგადოების ყველა წევრზე (OECD, 2013).

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს გზები, რომელთა საშუალებითაც პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში შესაძლებელი იქნება ურთიერთმკვეთი საკითხების სათანადოდ ასახვა. გამომდინარე იქიდან, რომ ურთიერთმკვეთი საკითხები ფარავს საკმაოდ ფართო სპექტრს, დოკუმენტზე მუშაობის პროცესში აქცენტი გაკეთდა გენდერის, შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე. დოკუმენტზე მუშაობის პროცესში გამოყენებულია როგორც სამაგიდე კვლევის მეთოდი, ასევე პირველადი მონაცემების მოგროვების მიზნით ჩატარებული ინტერვიუების შედეგები, რომელიც მიღებულ იქნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს იმ სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან მუშაობით, რომლებიც ჩართულები არიან პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცესში. ამასთან, გაანალიზდა პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის N629 დადგენილების სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული 22 პოლიტიკის დოკუმენტი. დამატებით, საერთაშორისო პრაქტიკასა და ანგარიშებზე დაყრდნობით მომზადდა ინდიკატორების ნუსხა, რომელიც საჯარო უწყებების მხრიდან შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მაგალითის სახით, კონკრეტული სექტორის საჭიროებების გათვალისწინებით.

ანალიზის შედეგად განისაზღვრა პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ურთიერთმკვეთი საკითხების გათვალისწინების შესაძლებლობების ზრდის 3 ალტერნატივა:

1. **სექტორული პოლიტიკის დოკუმენტებში მიზნებისა და ამოცანების ფორმულირებისას სხვადასხვა ურთიერთმკვეთი საკითხის გათვალისწინების სავალდებულო სახით განსაზღვრა „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N629 დადგენილებაში;**
2. **საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლება და უნარების გაძლიერება ურთიერთმკვეთი საკითხების პოლიტიკის დოკუმენტებში გასათვალისწინებლად;**
3. **ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოს მანდატის გაძლიერება და საკოორდინაციო მექანიზმის გაუმჯობესება ურთიერთმკვეთი საკითხების პოლიტიკის დოკუმენტებში გასათვალისწინებლად.**

ალტერნატივებს შორის უპირატესის გამოსავლენად წარმოდგენილ პოლიტიკის დოკუმენტში გამოყენებულია მულტიფაქტორული ანალიზი, რომლის ფარგლებშიც თითოეული ალტერნატივა შეფასდა შემდეგი კრიტერიუმებით: ხარჯი, პოლიტიკური მიზანშეწონილობა, ადმინისტრაციული განხორციელებადობა, ეფექტურობა, გავრცელების მასშტაბი და განხორციელების სისწრაფე. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ყველა-

-ზე გონივრულია განხორციელდეს პირველი ალტერნატივა, რომელიც გულისხმობს ურთიერთმკვეთი საკითხების გათვალისწინებას სავალდებულო სახით პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში, მიზნების, ამოცანებისა და შესაბამისი ინდიკატორების ფორმულირებისას. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს რეკომენდაციებს აღნიშნული უპირატესი ალტერნატივის წარმატებით განსახორციელებლად.

პრობლემის აღწერა

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მიხედვით, იმისათვის, რომ სახელმწიფო იყოს ღია და წარმომადგენლობითი, ის უნდა ემსახურებოდეს ყველა ადამიანს, მათ შორის იმათ, ვისაც აქვთ განსაკუთრებული საჭიროებები, ვინც განიცდიან ფიზიკურ, ინტელექტუალურ ან სოციალურ მოწყვლადობას ან/და შეზღუდული აქვთ გავლენის მოხდენის შესაძლებლობები.[1] პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში ინკლუზიურობის მნიშვნელობას ხაზს უსვამს OECD/SIGMA-ს საჯარო მმართველობის პრინციპები, რომელიც ევროკავშირის წევრობის მსურველი ქვეყნებისთვის მთავარი სახელმძღვანელო დოკუმენტია საჯარო მმართველობის მიმართულებით და წარმოადგენს დეტალურ ჩარჩო დოკუმენტს იმ ღირებულებებითა და ქცევის წესებით, რომელთა მოლოდინიც შესაძლოა ჰქონდეს ფართო საზოგადოებასა და კერძო სექტორს თანამედროვე საჯარო მმართველობისგან (OECD/SIGMA, 2023). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განსხვავებით საჯარო მმართველობის პრინციპებისაგან, ურთიერთმკვეთი საკითხებისათვის უნივერსალური სახელმძღვანელო პრინციპების დოკუმენტი არ არის განსაზღვრული. ურთიერთმკვეთ საკითხების ჩამონათვალი ხშირად განსხვავდება ადგილობრივი თუ საერთაშორისო, ასევე სექტორის სპეციფიკიდან გამომდინარე. მაგალითად „UN Habitat“ პროგრამა ურთიერთმკვეთ მიმართულებებად განსაზღვრავს კლიმატის ცვლილების, გენდერული თანასწორობის, ადამიანის უფლებების საკითხებს (Tiseyra, R. A., 2016); ურთიერთმკვეთი საკითხების სხვაგვარი ფორმულირება გვხვდება „People in Need“-ის საქართველოს პროგრამის სტრატეგიაში (Country Programme Strategy Georgia 2021-2025) - გენდერული თანასწორობა და სოციალური ინკლუზია, ეკოლოგიური მდგრადობა და კლიმატის ცვლილება, პარტნიორობა და მედეგობა (People In Need, 2021). აღნიშნული განსხვავდება იაპონიაში შემუშავებული ინიციატივა „Society 5.0“-ის ფარგებში განსაზღვრული ურთიერთმკვეთი მიმართულებებისაგან: ტექნოლოგიური განვითარება, ჯანდაცვა, გარემოს დაცვა (Frosinini, A., 2024).

საქართველოს მთავრობის N629 დადგენილების ფარგლებში შემუშავებული „პოლიტიკის დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოში“ (საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, 2019) რეკომენდაციის სახით გვხვდება სექტორული პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების ფორმულირებისას ურთიერთმკვეთი საკითხების გათვალისწინების შესახებ. სახელმძღვანელოს თანახმად: „ინდიკატორებზე მუშაობისას რეკომენდებულია, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ურთიერთმკვეთ საკითხებზე, როგორიცაა ადამიანის უფლებები, გენდერული, უმცირესობებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების საკითხები“. მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთმკვეთი საკითხების გათვალისწინება სარეკომენდაციო და არა სავალდებულო ხასიათისაა, ხაზგასასმელია, რომ აღნიშნულ საკითხს ეხმიანება სახელმძღვანელოს მე-9 დანართით (ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები) განსაზღვრული ერთ-ერთი შინაარსობრივი კრიტერიუმიც: „წარმოდგენილ გავლენის და ამოცანის შედეგის ინდიკატორებში სულ მცირე ერთი უნდა ეხებოდეს უშუალოდ ურთიერთმკვეთ საკითხებს“. აღნიშნული კრიტერიუმისთვის მინიჭებულია 10 ქულა, რაც საკმაოდ მოცუ-

[1] *https://www.opengovpartnership.org/policy-area/inclusion/*

-ლობითია და შესაძლოა მნიშვნელოვანად აისახოს პოლიტიკის დოკუმენტის შინაარსობრივი კრიტერიუმებით შეფასების საბოლოო მაჩვენებელზე.

„გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თემატური მოკვლევის ანგარიშის“ თანახმად „სახელმწიფო პოლიტიკაში გენდერული საკითხების სისტემური და ეფექტიანი მეინსტრიმინგი არ ხდება“. ანგარიშის მიხედვით პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც მთავრობის N629 დადგენილების დამტკიცების შემდეგ შემუშავდა, გარკვეული ხარისხით მოიცავენ გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს, თუმცა აღნიშნულს სისტემური ხასიათი არ გააჩნია.[2]

საკითხს კიდევ უფრო მეტად კომპლექსურს ხდის თავად ურთიერთმკვეთი საკითხების (გენდერი, შშმ პირები, ეთნიკური უმცირესობები) ინტერსექციურობა. მაგალითისათვის სახელმძღვანელოში „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არსებითი მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში“ ცალკე თავი ეთმობა ურთიერთგადამკვეთი საკითხების განხილვას.[3] დოკუმენტის მიხედვით შშმ პირების საჭიროებების ანალიზისა და შესაბამისი პოლიტიკის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს განსხვავებული სოციალური, სქესის, ასაკობრივი თუ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელ შშმ პირთა საჭიროებები.

პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობის საწყის ეტაპზე განხორციელდა სიტუაციის ანალიზი და შეფასდა არსებული პრობლემის სიმძაფრე. ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა როგორც პირველადი მონაცემების შეგროვების (სიღრმისეული ინტერვიუები), ასევე სამაგიდე კვლევის შედეგები. პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობის პროცესში, სიტუაციის ანალიზის ეტაპზე, პირველადი მონაცემების მოგროვების მიზნით, ჩატარდა ინტერვიუები ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს იმ დეპარტამენტებსა და სსიპ-ებთან,[4] რომლებიც ამჟამად მუშაობენ ან უკვე შემუშავებული აქვთ პოლიტიკის დოკუმენტები საქართველოს მთავრობის N629 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად. ინტერვიუებში მონაწილეობა მიიღეს ეკონომიკური პოლიტიკის; ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის; კაპიტალის ბაზრის განვითარების, სადაზღვევო პოლიტიკისა და საპენსიო რეფორმის; კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტებისა და სსიპ კურორტების განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებმა. ინტერვიუების პროცესში განხილულ იქნა შემდეგი პოლიტიკის დოკუმენტები: მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025, საქართველოს კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია 2023-2028, საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია 2022- 2025, ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგია 2023-2030, საზღვაო ტრანსპორტის სტრატეგიული განვითარების კონცეფცია, ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების სტრატეგია (შემუშავების პროცესში), კურორტების განვითარების სტრატეგია (შემუშავების პროცესში).

---

[2] *გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თემატური მოკვლევის ანგარიში - გენდერული თანასწორობის საკითხების მეინსტრიმინგი სამთავრობო პოლიტიკაში. გენდერული თანასწორობის საბჭო. 2022 წელი. გვ: 7-11.*

[3] *სხილაძე, ე. (2023). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არსებითი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. UNDP & UNPRPD. გვ:44-46.*

[4] *შენიშვნა: ინტერვიუების პროცესში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები შეირჩნენ ხელმისაწვდომობის შესაბამისად. მხოლოდ ერთი უწყების წარმომადგენელთა გამოკითხვა წარმოადგენს კვლევის შეზღუდვას, თუმცა, ამასთან გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული დეპარტამენტები ფარავენ სექტორების საკმაოდ მრავალფეროვან სპექტრს. შესაბამისად, მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები ნიშანდობლივია, რომ ესადაგებოდეს საკმაოდ მრავალფეროვან მიდგომებს.*

ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პოლიტიკის დეპარტამენტების წარმომადგენლები ძირითად შემთხვევებში ინფორმირებულები არიან სექტორულ პოლიტიკის დოკუმენტებში მიზნებისა და ამოცანების ფორმულირებისას სხვადასხვა ურთიერთმკვეთი საკითხის გათვალისწინების რეკომენდაციის შესახებ.

კვლევის შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ გენდერული, შშმ პირები, უმცირესობებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების საკითხები, ძირითად შემთხვევებში, უბრალოდ ნახსენებია პოლიტიკის დოკუმენტების ნარატიულ ნაწილებში. იშვიათად არის განსაზღვრული მიზნის ან/და ამოცანის დონე და შესაბამისი ინდიკატორები, რაც თავისთავად ართულებს ურთიერთმკვეთი საკითხების რეალურ ინტეგრირებას პოლიტიკის განხორციელების პროცესში და შედეგად მონიტორინგსა და შეფასებისას.

პოზიტიური გამონაკლისია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია, რომელშიც პრიორიტეტულ მიმართულებად გაწერილია „ქალი მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა“ და შესაბამისი გავლენის ინდიკატორი: მოქმედ ბიზნეს სუბიექტებში ქალ-მეწარმეთა წილი. აღნიშნული მიმართულება, თავის მხრივ, აერთიანებს 5 ამოცანასა და შესაბამის აქტივობებს. ასევე თითოეულ ამოცანას ახლავს ამოცანების შემდეგის ინდიკატორები.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ქალების, შშმ პირებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერების საკითხს ითვალისწინებს ამჟამად შემუშავების პროცესში მყოფი ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების2025-2030 წლების ეროვნული სტრატეგია, რომელშიც, აღნიშნული საკითხების განსაზღვრა მიზნისა და ამოცანების დონეზეა დაგეგმილი.

დანარჩენ პოლიტიკის დოკუმენტებში ურთიერთმკვეთი საკითხები (ძირითადად ქალების მიმართულებით), მხოლოდ ნახსენებია ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი ინდიკატორების დონეზე, რაც ცხადია ასუსტებს შესრულების ხარისხის კონტროლს ამ მიმართულებით.

რესპონდენტები ინტერვიუებში ცალსახად აღნიშნავენ, რომ აღნიშნული საკითხების გათვალისწინება მნიშვნელოვანია, რათა ხელი შეეწყოს ინკლუზიური პოლიტიკის დაგეგმვას, ყველა დაინტერესებული მხარისა და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებას, რაც პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელებას ეფექტურს გახდის და პოლიტიკის განხორციელების შედეგად მიღებული სარგებელი თანაბრად გავრცელდება საზოგადოების ყველა წევრზე.

თუმცა, ინტერვიუების პროცესში ასევე დასახელდა გარკვეული გამოწვევები, როგორებიცაა არასაკმარისი მტკიცებულებები და სტატისტიკური ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანია ინდიკატორების შემუშავებისათვის; ასევე, გამოწვევას წარმოადგენს სხვადასხვა უწყებებს შორის კოორდინაციის სირთულე, ქმედითი (ეფექტიანი) ზომების განსაზღვრის სირთულე და ფინანსების ნაკლებობა მათი განხორციელებისთვის;

რაც შეეხება აღნიშნული რეკომენდაციის სავალდებულო მოთხოვნის საკითხს, რესპონდენტთა დიდი ნაწილის აზრით, მისაღებია რეკომენდაცია იქცეს სავალდებულო მოთხოვნად, თუმცა იმ დათქმით, რომ იარსებებს გამონაკლისი წესები ისეთი შემთხვევებისთვის, როცა დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე შეუძლებელია ურთიერთმკვეთი საკითხების გათვალისწინება პოლიტიკის დოკუმენტში. რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი ასევე მიიჩნევს, რომ ჯობს რეკომენდაცია დარჩეს რეკომენდაციის ფორმით მანამ, სანამ საჯარო უწყებებში არ იარსებებს საკმარისი კვალიფიკაციის დონე და მონაცემთა შეგროვება/დამუშავების გამართული სისტემები.

პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობის პროცესში, სამაგიდო კვლევის ფარგლებში ასევე გაანალიზდა საქართველოს მთავრობის N629 დადგენილების „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ შესაბამისად შემუშავებული 22 სექტორული პოლიტიკის დოკუმენტი[5] (სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა), რის შედეგადაც გამოიკვეთა რომ, მათ შორის მხოლოდ მცირე ნაწილი მოიცავს ურთიერთმკვეთი საკითხების (გენდერი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ეთნიკური უმცირესობები) შესახებ მიზნისა და ამოცანის დონეზე გაწერილ ინდიკატორებს:

გენდერი

გენდერის ჭრილში გაწერილი გავლენის ან/და ამოცანის შედეგის ინდიკატორები წარმოდგენილია ხუთ სექტორულ პოლიტიკის დოკუმენტში (სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა): „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025 წლებისათვის“; „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიაში“; „თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის“; „საქართველოში არა გადამდებ დავადებათა პრევენციისა და კონტროლის ეროვნული სტრატეგია 2023-2030“-ში; „საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიაში“. უშუალოდ გენდერის საკითხთან მიმართებით შემუშავებულია ერთი სექტორული პოლიტიკის დოკუმენტი: „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა 2022-2024“. გენდერის საკითხზე მხოლოდ ნარატიული სახის ჩანაწერი გვხვდება 7 დოკუმენტში: „საქართველოს 2022 – 2025 წლების საგზაო უსაფრთხოების ეროვნულ სტრატეგიაში“, „ტრანსპორტისა და ლოგისტიკის 2023-2030 წლების ეროვნულ სტრატეგიაში“, „საქართველოს სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიაში“; „საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიაში“; „საქართველოს 2022-2030 წლების ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგიაში“; „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030“-ში; “სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026“-ში.

---

[5] *მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025 წლებისათვის; საქართველოს 2022 – 2025 წლების საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია; საქართველოს 2023-2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია; საქართველოს სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგია; საქართველოს 2023-2030 წლების ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგია; სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია; საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია; სახელმწიფო სერვისების განვითარების 2022-2025 წლების სტრატეგია; საქართველოს შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგია 2021-2024 წლებისთვის; თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის; საქართველოს 2022-2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგია; საქართველოს 2022-2030 წლების ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია; საქართველოში არა გადამდებ დავადებათა პრევენციისა და კონტროლის ეროვნული სტრატეგია 2023-2030;ერთიანი ჯანმრთელობის სისტემის განვითარების 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმა; საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია; 2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (NEAP 4); ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2023-2025 წლების გეგმა ცენტრალური ზონისთვის; 2021 – 2030 წლების სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა (სტრატეგია); საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030; სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026; საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგია; ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა 2022-2024;*

ეთნიკური უმცირესობები

ეთნიკური უმცირესობების საკითხზე მიზნისა და ამოცანის დონეზე გაწერილი ინდიკატორები წარმოდგენილია სამ სექტორული პოლიტიკის დოკუმენტში (სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა): „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიაში“; „საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიაში“; „2021 – 2030 წლების სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამაში (სტრატეგია)“; ნარატიული სახის ჩანაწერი გვხვდება 5 პოლიტიკის დოკუმენტში: „საქართველოს 2022-2030 წლების ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგიაში“; „სახელმწიფო სერვისების განვითარების 2022-2025 წლების სტრატეგიაში“; „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიაში 2021-2025 წლებისათვის“; „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030“-ში; „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026“-ში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

სექტორულ პოლიტიკის დოკუმენტებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ საკითხი, უმეტესწილად გაწერილია აქტივობებისა და შესაბამისი შედეგის ინდიკატორების სახით. „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026“- ში გვხვდება ამოცანის დონეზე განსაზღვრული ამოცანის შედეგის ინდიკატორი, რომელიც ეხმიანება შეზღუდული შესაძლებლობის პირთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების საკითხს. ნარატიული სახით ჩანაწერები გვხვდება: „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030“-ში; „2021 – 2030 წლების სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამაში (სტრატეგია)“; „სახელმწიფო სერვისების განვითარების 2022-2025 წლების სტრატეგიაში“; „საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიაში“; „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიაში“; „საქართველოს 2022 – 2025 წლების საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიაში“; „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიაში 2021-2025 წლებისათვის“.

აღსანიშნავია, რომ ზოგადად ადამიანის უფლებების შესახებ ამოცანის შედეგის ინდიკატორი განსაზღვრულია „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიაში“ გაწერილი ერთ-ერთი ამოცანისათვის. ასევე ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები ნარატიული სახით გაწერილია: „საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიაში“; საქართველოს 2022-2030 წლების ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში“; „საქართველოში არა გადამდებ დავადებათა პრევენციისა და კონტროლის ეროვნული სტრატეგია 2023-2030“-ში; „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026“-ში.

გამომწვევი მიზეზები

შესაბამისად, პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ურთიერთმკვეთი საკითხების გათვალისწინების არასაკმარისი დონე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. პრობლემის გამომწვევი სხვადასხვა მიზეზია, როგორებიცაა **არასაკმარისი მონაცემები მოწყვლადი ჯგუფების** შესახებ, რაც შესაძლებელს გახდიდა მტკიცებულებებზე დაფუძნებული და მეტად საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკის შემუშავებას. ასევე, პრობლემას იწვევს **არასათანადო კვალიფიკაცია**, რადგან საჯარო უწყებებში პოლიტიკის დოკუმენტებზე მომუშავე პირები ძირითადად თავიანთი დარგის ექსპერტები არიან და დახმარებას საჭიროებენ ურთიერთკვეთი საკითხების/შესაბამისი ინდიკატორების განსაზღვრისა და პოლიტიკის დოკუმენტებში მათი ინტეგრირების მიმართულებით. ასევე, პრობლემას მიზეზია **დაინტერესებული მხარეების ჩართულობის არასაკმარისი დონე**. მი-

-უხედავად იმისა, რომ მთავრობის 629-ე დადგენილების ახალმა დანართმა საჯარო კონსულტაციების შესახებ მკვეთრად გააუმჯობესა საჯარო კონსულტაციების სტანდარტი, ამ მიმართულებით მაინც რჩება გამოწვევები, განსაკუთრებით საწყის ან/და მუშაობის ყველა ეტაპზე ჩართულობის კუთხით. არასამთავრობო ორგანიზაცია „WeResearch"-ის მიერ მომზადებულ კვლევაში, რომლის მიზანი იყოს საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში საზოგადოებრივი მონაწილეობის შეფასება და რომლის ფარგლებშიც გაანალიზდა 12 პოლიტიკის დოკუმენტი, გამოიკვეთა რომ საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ ასპექტად მონაწილეთა მრავალფეროვნების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. კვლევის თანახმად მაკოორდინირებელი უწყებების უმეტესობა პრიორიტეტად არ განსაზღვრავდა მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობას და ყურადრება ექცეოდა მხოლოდ რელევანტური ჯგუფების ჩართულობას, რომელთაც უშუალოდ ეხებოდათ პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული საკითხები. თუ სტრატეგიის დოკუმენტი მოწყვლად ჯგუფებს არ განსაზღვრავდა რელევანტურ დაინტერესებულ მხარეებად, უმცირესობათა ჩართულობა ხშირად არამიზანშეწონილად და ხარჯიანად მიიჩნეოდა (WeResearch, 2022). შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთმკვეთი საკითხების გათვალისწინების რეკომენდაციამ პოლიტიკის დოკუმენტებში უზრუნველყო გარკვეული პოზიტიური დინამიკა, აღნიშნული საკითხები სათანადო სახით, მიზნისა და ამოცანის დონეზე, შესაბამისი ინდიკატორით, კვლავ იშვიათად გვხვდება და გენდერის, შშმ პირებისა თუ ეთნიკური უმცირესობების საკითხები არასისტემურად, წერტილოვანი სახით არის ასახული სხვადასხვა პოლიტიკის დოკუმენტებში, რაც თავის მხრივ ხელს უშლის მნიშვნელოვანი გავლენის მიღწევას ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის კუთხით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად ხშირად ხდება, რომ პოლიტიკის დოკუმენტები ვერ პასუხობს მოწყვლადი ჯგუფების რეალურ საჭიროებებს და ამასთან, მათი განხორციელების შედეგად მიღებული პოზიტიური გავლენა საზოგადოების ყველა წევრზე თანაბრად ვერ ვრცელდება.

ალტერნატივების ანალიზი

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში, სექტორული პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების ფორმულირებისას ურთიერთმკვეთი საკითხების გათვალისწინებასთან დაკავშირებით გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, წარმოდგენილია პრობლემის გადაჭრის სამი ალტერნატიული მიდგომა. ალტერნატივები გაანალიზდა მულტიფაქტორული ანალიზის გამოყენებით, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, 1-დან 5-მდე სკალაზე. მულტიფაქტორული ანალიზის შედეგად გამოიყო პრობლემის გადაჭრის ყველაზე ეფექტიანი გზა და შემუშავდა მისი განხორციელებისთვის საჭირო რეკომენდაციები.

I ალტერნატივა - სექტორული პოლიტიკის დოკუმენტებში მიზნებისა და ამოცანების ფორმულირებისას სხვადასხვა ურთიერთმკვეთი საკითხის გათვალისწინების სავალდებულო სახით განსაზღვრა, პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის N629 დადგენილებაში.

აღნიშნული მიდგომა მოითხოვს, შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციის ამოქმედებას, რათა N629 დადგენილებაში, პოლიტიკის ფორმულირებისას, ურთიერთმკვეთი საკითხების და შესაბამისი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინება გახდეს სავალდებულო. დადგენილებაში ცვლილების შედეგად დეტალურად განი-

-საზღვრება რა საკითხები და რომელ დონეზე უნდა იყოს გათვალისწინებული. ასევე, დადგენილებას დაემატება შესაბამისი დანართი, ურთიერთმკვეთი საკითხების გათვალისწინების მეთოდოლოგიის შესახებ და ამასთან, შესაბამისი ცვლილებები შევა ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტში. ურთიერთმკვეთი საკითხების ინტეგრირება და ამასთან სამიზნე ჯგუფების მონაწილეობა პოლიტიკის წარმოების პროცესში გადამწყვეტია სხვადასხვა ალტერნატიული მიდგომისა და საკითხის უფრო ფართო ჭრილში განხილვის მიზნით.

ეს მიდგომა წარმოადგენს ერთ-ერთ ეფექტურ და ინკლუზიურ მეთოდს, რომელიც ზრდის მხარეთა ჩართულობას და სანდოობას. წინასწარ განსაზღვრული რესურსებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, იქმნება ერთიანი წესი, რომლის გათვალისწინებაც სავალდებულო იქნება ყველა უწყებისთვის, როგორც პოლიტიკის დაგეგმვის, ასევე მისი მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.

აღნიშნულ ალტერნატივა არ საჭიროებს დიდ ფინანსურ ხარჯებს, თუმცა, საჭიროა გარკვეული რისკების შეფასებაც, როგორიც მაგალითად შესაძლოა იყოს პოლიტიკური მიზანშეწონილობა, რადგან აღნიშნული ცვლილებებით მეტი ვალდებულება ჩნდება პოლიტიკის დოკუმენტების შემქმნელი სტრუქტურული ერთეულებისთვის იმ მოცემულობაში, როდესაც 629-ე დადგენილების სტანდარტების გათვალისწინება ისედაც მნიშვნელოვან რესურსებს მოითხოვს. ასევე, რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპეტენციების ნაკლებობასთან დაკავშირებით, გამომდინარე იქიდან, რომ საჯარო უწყებებში პოლიტიკის შემქმნელები ძირითადად უშუალოდ სექტორის ექსპერტები არიან, რომელთაც შესაძლოა ქონდეთ ნაკლები ცოდნა ურთიერთმკვეთ საკითხებთან დაკავშირებით. რისკები ასევე უკავშირდება მონაცემთა შეგროვებასა და ინდიკატორების გაწერას, რადგან დღეის მდგომარეობით, გენდერული, შშმ პირებისა თუ ეთნიკური უმცირესობების შესახებ მონაცემთა მართვის ერთიანი სისტემები დანერგილი არ არის, მონაცემთა არარსებობის ან/და ნაკლებობის პირობებში კი საკმაოდ რთული იქნება აღნიშნული ალტერნატივის აღსრულება.

II ალტერნატივა - საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლება და უნარების გაძლიერება ურთიერთმკვეთი საკითხების პოლიტიკის დოკუმენტებში გასათვალისწინებლად.

ეს მიდგომა ეყრდნობა საგანმანათლებლო/საინფორმაციო პროგრამას/კამპანიას, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის ღონისძიებების, საგანმანათლებლო /საინფორმაციო ტრენინგებისა და სამიტების ჩატარებას. საინფორმაციო კამპანიის შედეგად გაიზრდება საჯარო მოხელეთა ცნობიერება ურთიერთმკვეთი საკითხების მნიშვნელობის შესახებ და შესაბამისად, მეტად მოსალოდნელი გახდება ამ საკითხების გათვალისწინება პოლიტიკის დოკუმენტებზე მუშაობის პროცესში.

ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, კარგი პრაქტიკაა სამიტების ორგანიზება, რომელშიც საჯარო უწყებების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას იღებენ როგორც ადგილობრივი, ისე სხვა ქვეყნის დარგის ექსპერტები და სხვა დაინტერესებული მხარეები, მათ შორის სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლებიც. მსგავსი პლატფორმები ხელს უწყობს აზრთა მიმოცვლას, ექსპერტიზის გაზიარებასა და გარკვეულ ცვლილებებს დამოკიდებულებებში.

აღნიშნული ალტერნატივა მოითხოვს უფრო მეტ დროსა და ფინანსურ რესურსებს, ვიდრე დანარჩენი ორი მიდგომა. თუმცა, მხარდაჭერისა და ინფორმაციის გავრცელების კუთხით, მას მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს. მისი ეფექტურობა ეყრდნობა სწორად განსაზღვრულ სამიზნე აუდიტორიას და მისაწოდებელი ინფორმაციის სწორი/ხარისხიანი გზით გადაცემას.

III ალტერნატივა - ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოს მანდატის გაძლიერება და საკოორდინაციო მექანიზმის გაუმჯობესება ურთიერთმკვეთი საკითხების პოლიტიკის დოკუმენტებში გასათვალისწინებლად.

დღეისათვის ქვეყანაში მოქმედებს ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან სახელმწიფო უწყებების, ასევე პარლამენტის, საერთაშორისო და არასამთავრობო უწყებების წარმომადგენლები. საბჭოს ძირითად ამოცანებს წარმოადგენს ერთიანი პოლიტიკის შემუშავება ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავება/განხორციელება/მონიტორინგი. მესამე ალტერნატივა გულისხმობს არსებული საბჭოს მანდატის გაფართოებას და ახალი ფუნქციების დამატებას, მათ შორის საკონსულტაციო, საზედამხედველო და მონაცემთა მიმოცვლის კუთხით, გენდერის, შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობების შესახებ. საბჭომ ხელი უნდა შეუწყოს კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაუმჯობესებას როგორც საჯარო უწყებებს, ასევე სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის, მათ შორის ერთიანი მიდგომებისა და მონაცემთა მართვის სისტემების დანერგვის კუთხით. ამ მიდგომით, გაუმჯობესდება პოლიტიკის შექმნის პროცესის ეფექტურობა, გახდება ის უფრო თანმიმდევრული და წინასწარ განისაზღვრება მოსალოდნელი რისკები.

აღნიშნულ ალტერნატივა არ საჭიროებს დიდ ფინანსურ ხარჯებს, თუმცა, საჭიროა გარკვეული რისკების შეფასებაც, მათ შორის, როგორიცაა ადმინისტრაციული განხორციელებადობა, რადგან მანდატის გაფართოება და მისი გამართული ფუნქციონირება მოითხოვს დროით, ფინანსურ და ადმინისტრაციულ რესურსებს არაერთი ჩართული მხარისგან. ქვემოთ, ცხრილის სახით განხილულია აღნიშნული ალტერნატივები მულტიფაქტორული ანალიზის მეთოდით, განსაზღვრული კრიტერიუმებისა და ქულების შესაბამისად.

ცხრილი N1. მულტიფაქტორული ანალიზი

კრიტერიუმები	წონა	I ალტერნატივა - სავალდებულო ხასიათი	II ალტერნატივა - ცნობიერების ამაღლება	III ალტერნატივა - საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერება
ხარჯი	15 %	5 x 15	2 x 15	4 x 15
პოლიტიკური მიზანშეწონილობა	20 %	3 x 20	4 x 20	3 x 20
ადმინისტრაციული განხორციელებადობა	15 %	4 x 15	4 x 15	2 x 15
ეფექტიანობა	20 %	5 x 20	4 x 20	3 x 20
გავრცელების მასშტაბი	20 %	5 x 20	2 x 20	3 x 20
განხორციელების სისწრაფე	10 %	3 x 10	2 x 10	3 x 10
ჯამი		**425**	**310**	**300**

დასკვნა და რეკომენდაციები

ზემოთ წარმოდგენილ მულტიფაქტორულ ანალიზზე დაყრდნობით, ნათლად ჩანს, რომ სექტორული პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების ფორმულირებისას ურთიერთმკვეთი საკითხების გათვალისწინებასთან დაკავშირებით, ყველაზე ეფექტიან გზას წარმოადგენს ამ საკითხის **სავალდებულო წესით გათვალისწინება საქართველოს მთავრობის N629 დადგენილებაში, რაც გულისხმობს როგორც დადგენილებაში შესაბამისი ჩანაწერის გაკეთებას, ასევე მეთოდოლოგიური დანართის შემუშავებას და ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტში შესაბამისი კრიტერიუმების დამატებას.**

ალტერნატივის განხორციელების მიზნით, ქვემოთ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს ალტერნატივის ეფექტიან დანერგვასა და აღსრულებას:

1. **სამუშაო ჯგუფის შექმნა:** შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებისა და შესაბამისი დარგის ექსპერტებით. ჯგუფი უზრუნველყოფს პრობლემის შესწავლას, განსახორციელებელი ცვლილების (სავალდებულო წესის ჩანაწერთან დაკავშირებით) მომზადებას და დაგეგმი-ლი აქტივობების განხორციელებას. აღნიშნული ჯგუფი ასევე უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას პოლიტიკის ფორმულირებაში.

2. **სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და საუკეთესო პრაქტიკის ინტეგრირება:** საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, მნიშვნელოვანია წარმატებული მაგალითების აღმოსაჩენად, რათა გაუმჯობესდეს დადგენილების ცვლილების შემუშავებისა და მისი შესრულების ხარისხი. სხვა ქვეყნების პრაქტიკის შესწავლა ასევე მნიშვნელოვანია დადგენილების ცვლილების დანართის შემუშავების კუთხით, რომელიც უნდა იყოს მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, როგორ უნდა მოხდეს ურთიერთმკვეთი საკითხების ასახვა პოლიტიკის დოკუმენტებში. პრაქტიკული გამოცდილების ანალიზი, შეამცირებს მოსალოდნელ რისკებს და უზრუნველყოფს საქართველოში არსებულ კანონმდებლობასთან / რეგულაციებთან შესაბამისობას.

3. **მონაცემთა შეგროვებისა და მართვის სისტემის ჩამოყალიბება:** მნიშვნელოვანია, რომ განისაზღვროს ერთიანი მიდგომა, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში პროგრამებისა თუ ბენეფიციარების შესახებ მონაცემთა სხვადასხვა დემოგრაფიული მახასიათებლის, მათ შორის გენდერის, შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობების ჭრილში წარმოებისათვის, რაც ხელს შეუწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ანალიზსა და შესაბამისი ინდიკატორების შემუშავებას. ამასთან, მნიშვნელოვანია რომშშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობების შესახებ მონაცემთა შეგროვების დროს გათვალისწინებული იყოს პერსონალურ მონაცემთა, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სპეციფიკა.

4. **საჯარო უწყებების თანამშრომლების გადამზადება:** აღნიშნული ალტერნატივის პრაქტიკაში წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია ის ადამიანები, რომლებიც ჩართულები არიან სხვადასხვა უწყებებში პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში, შესაბამისი ცოდნითა და უნარებით იყვნენ აღჭურვილები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ერთის მხრივ, ტექნიკურად პოლიტიკის დოკუმენტებში ურთიერთმკვეთი საკითხების სათანადოდ ასახვა (მათ შორის სიტუაციის ანალიზისა და მონაცემების შეგროვების მიმართულებითაც), მეორეს მხრივ კი - შემუშავებისა და მონიტორინგის პროცესში უზრუნველყოფილი იყოს დაინტერესებული მხარეების სათანადო ჩართულობა

5.**საინფორმაციო კამპანიების წარმოება და PR:** ინფორმაციის გავრცელების მიზნით, შეხვედრების გამართვა სხვადასხვა უწყებებსა და დაინტერესებულ პირებთან. სოციალური მედიის, ტელევიზიისა და ონლაინ პლატფორმების გამოყენება, ინფორმირებულობისა და მონაწილეობის გაზრდის მიზნით.

6.**პროცესის მონიტორინგი და შეფასება:** პროცესის მონიტორინგი ხელს შეუწყობს, ურთიერთმკვეთი საკითხების შემუშავების პროცესი (მოსაზრებებისა და შეხედულებების გამოხატვის პროცესი) იყოს გამჭვირვალე, რაც უზრუნველყოფს მეტ სანდოობას და პრობლემების დროულ იდენტიფიცირებას/მოგვარებას. აღნიშნული ალტერნატივის განხორციელების პროცესის მონიტორინგი მოხდება როგორც მთავრობის ადმინისტრაციის მხრიდან, დასამტკიცებლად წარდგენილი პოლიტიკის დოკუმენტების შეფასების პროცესში, ასევე მონიტორინგის პროცესს უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფი, რომელიც წელიწადში 2-ჯერ შეიკრიბება და შეაფასებს განხორციელების პროცესის მიმდინარეობას, ასევე იმსჯელებს გამოწვევებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

აღნიშნული რეკომენდაციების განხორციელება ქვემოთ წარმოდგენილია განტის სქემის საშუალებით, სადაც გაწერილია ცალკეული ეტაპები და მათი შესრულების ვადები, თვეების მიხედვით. ჯამში რეკომენდაციების შესრულებას დასჭირდება 8 თვე.

ცხრილი N2. განტის სქემა

ღონისძიება	შესრულების ვადები (თვე, წელი)							
	ოქტომბერი 2024	ნოემბერი 2024	დეკემბერი 2024	იანვარი 2025	თებერვალი 2025	მარტი 2025	აპრილი 2025	მაისი 2025
სამუშაო ჯგუფის შექმნა								
საუკეთესო პრაქტიკების შესწავლა								
დადგენილებაში ცვლილების შეტანა და შესაბამისი დანართის შემუშავება								
თანამშრომელთა გადამზადება								
საინფორმაციო კამპანიის წარმოება								
განხორციელების მონიტორინგი								

პოლიტიკის განხორციელების ადვოკატირებისთვის საწყის ეტაპზე გამოყენებული იქნება რეკომენდირების სტრატეგია, რათა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მოხდეს შესაბამისი პირებისთვის ცვლილების განხორციელების შეთავაზება. ამასთან, ადვოკატორების პროცესისთვის განისაზღვრა სხვადასხვა დაინტერესებული მხარე და გაიწერა შესაბამისი „გავლენისა და ინტერესის“ მატრიცა, რომელიც გვაჩვენებს, რომ საკითხის განხორციელებაზე დიდი გავლენა და ასევე, მაღალი მზაობა აქვს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტსა და სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის სამმართველოს; ასევე შედარებით დიდი გავლენა აქვს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს. საკითხზე თანხმობა, თუმცა ნაკლები გავლენა, ექნება სახალხო დამცველის აპარატსა და იმ ჯგუფებს, რომელთაც უშუალოდ მიემართება ურთიერთმკვეთი საკითხები, ასევე, ამ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს.

საკითხის მიმართ ნაკლები მზაობა ექნებათ სხვადასხვა სამინისტროების დარგობრივ პოლიტიკის დეპარტამენტებს, რადგან 629-ე დადგენილების სტანდარტების გათვალისწინება პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცესში ისედაც საკმაოდ მოცულობითი სამუშაოა, რომელიც დიდ რესურსს მოითხოვს, ხოლო ურთიერთმკვეთი საკითხების გათვალისწინების ვალდებულება ამ სამუშაოსა და საჭირო რესურსების მოცულობას კიდევ უფრო გაზრდის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღნიშნულ დაინტერესებულ მხარეებთან პროაქტიული კომუნიკაცია და მათი საკმარისი ჩართულობის უზრუნველყოფა ცვლილებების შეტანის პროცესში. საკითხის მიმართ მკვეთრად მოწინააღმდეგე მხარე ანალიზის პროცესში არ გამოკვეთილა.

დაინტერესებული მხარეების გავლენისა და ინტერესის დონეები ქვემოთ წარმოდგენილია მატრიცის სახით:

გრაფიკი N1. გავლენისა და ინტერესის მატრიცა



ზემოთ მოცემული ალტერნატივის განხორციელების პროცესში ძირითადი გამოწვევა შესაძლოა იყოს არასაკმარისი მონაცემები, რაც ართულებს ურთიერთმკვეთი საკითხების ინტეგრირებას და შესაბამისი ინდიკატორების განსაზღვრას პოლიტიკის დოკუმენტებში. ამასთან, გამოწვევას შეიძლება წარმოადგენდეს არასაკმარისი ადამიანური რესურსი (უშუალოდ ურთიერთმკვეთ საკითხებზე მომუშავე პირების ნაკლებობა პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტებში). შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ცვლილების პარალელურად უწყებათაშორისი კოორდინაციითა და ექსპერტების/მიზნობრივი ჯგუფების ჩართულობით მოხდეს მონაცემთა შეგროვების სისტემების განსაზღვრა და ასევე, პოლიტიკის დეპარტამენტებში კადრების გადამზადება ან/და ახალი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების დამატება.

ბიბლიოგრაფია

- საქართველოს მთავრობა. (2019 წლის 20 დეკემბერი). პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ. *დადგენილება №629.* თბილისი.
- საქართველოს პარლამენტი. (2022). *გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თემატური მოკვლევის ანგარიში - გენდერული თანასწორობის საკითხების მეინსტრიმინგი სამთავრობო პოლიტიკაში.* გენდერული თანასწორობის საბჭო.
- სხილაძე, ე. (2023). *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არსებითი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.* UNDP & UNPRPD.
- ჯალაღანია, ლ. (2021). *გენდერული მეინსტრიმინგი - საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებებისა და მათი შესრულების სტატუსის მიმოხილვა.* სახალხო დამცველი.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). *საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის 2024-2027 წლების განვითარების სტრატეგია - ინდიკატორების პასპორტი.* დანართი III. თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
- ბენდელიანი, ნ. (2012). *გენდერული თანასწორობის შეფასება საქართველოში საერთაშორისო ინდექსების და რეიტინგების მიხედვით.* Center for Social Sciences.
- რომელაშვილი, ე., მოდებაძე, ე., მუქერია, მ., & ძაგანია, ლ. (თ. გ.). *საჯარო პოლიტიკის შემნის პროცესში საზოგადოებრივი მონაწილეობის შეფასება ფაზა II*. WeResearch.
- საქართველოს სახალხო დამცველი. (2023). *საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.* საქართველოს სახალხო დამცველი.
- ხიშტოვანი, გ., ბერიანიძე, მ., ბაქრაძე , ნ., წულაია, გ., & კომახიძე, მ. (2022). *ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის შეფასება საჯარო სამსახურში.* პი ემ სი კვლევითი ცენტრი.
- People in Need. (2020). *საქართველოს პროგრამის სტრატეგია 2021-2025.*Aliance 2015.
- Global Protecion Cluster on Protection Mainstreaming. (2018). *Mapping of Cross-Cutting Issues in Humanitarian Response.*
- OECD. (2023). *Toolkit for Mainstreaming and Implementing Gender Equality.* Paris: OECD Publishing.
- OECD/SIGMA. (2018). *Toolkit for the preparation, implementation, monitoring, reporting and evaluation of public administration reform and sector strategies. Guidance for SIGMA partners.* SIGMA Paper No. 57. Paris OECD Publishing.
- OECD/SIGMA. (2023). *The Principles of Public Administration.* Paris: OECD Publishing.
- OECD/SIGMA. (2023). T*he Role and Functions of the Centre of Government in the European Neighbourhood Policy East Region.* SIGMA Paper No. 67. Paris: OECD Publishing.
- Tiseyra, R. A. (2016). *Cross-Cutting Issues Progress Report.* Nairobi: UN-Habitat.
- UN: Inter-Agency Task Force on Financing for Development. (2016). A*ddis Ababa Action Agenda - Monitoring commitments and actions.* United Nations Publications.
- U.S. Department of State . (2020). *Bureau of Democracy, Human Rights and Labor (DRL) Performance Indicator Reference Sheets.* Bureau of Democracy, Human Rights and Labor.
- OECD. (2013). Inclusive policy making. In *Government at a Glance 2013* (pp. 146 - 147). OECD Publishing.
- Inclusion. (n.d.). *Open Government Partnership.*
- Frosinini, A. (2024, April 4). *Goals and Strategies of Society 5.0: Japan's Pioneering Vision for a Sustainable Future.* Medium.

დანართები

დანართი N1. ინდიკატორების ნუსხა

პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობის პროცესში შემუშავდა ინდიკატორების ნუსხა, რომელიც განსაზღვრავს საორიენტაციო ინდიკატორებს ადამიანის უფლებების, გენდერის, შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობების შესახებ და რომელთა მორგებაც შესაძლებელია სხვადასხვა სექტორული პოლიტიკის მიზნებისთვის.

ინდიკატორები შემუშავებულია საერთაშორისო სტანდარტების, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხების, სხვადასხვა ანგარიშებისა და სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით.

ინდიკატორთა ფორმულირებისას გამოყენებულია რამდენიმე ძირითადი წყარო: აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დოკუმენტი ,,Bureau of Democracy, Human Rights and Labor (DRL) Performance Indicator Reference Sheets",[6] სახელმძღვანელო ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არსებითი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში",[7] მდგრადი განვითარების მიზნების საბაზისო ინდიკატორები,[8] საერთაშორისო ინდექსებისა და რეიტინგების მიხედვით შემუშავებული ანგარიში ,,გენდერული თანასწორობის შეფასება საქართველოში"[9] და საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის 2024-2027 წლების განვითარების სტრატეგიის ინდიკატორების პასპორტი.[10]

ქვემოთ მოცემული ინდიკატორები წარმოადგენს ზოგადი სახის ინდიკატორებს, რომლებიც შესაძლოა უწყებების მიერ გამოყენებული იქნას მაგალითების სახით და მოერგოს ცალცეულ სექტორებს, პოლიტიკის დოკუმენტების მიზნების, ამოცანებისა და აქტივობების შესაბამისად.

გარდა ზემოთ მოცემული წყაროებისა, სექტორების მიხედვით ინდიკატორების მონაცემთა წყაროდ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შიდა ორგანიზაციული ადმინისტრაციული სტატისტიკა, სტატისტიკის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები, სოციოლოგიური კვლევები, თემატური ორგანიზაციების (მაგ. ტრენინგების/ გადამზადების განმახორციელებელი ორგანიზაციები, კვლევითი ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ადამიანის უფლებების საკითხებზე) მონაცემები, რაც აძლიერებს ინდიკატორების შესახებ შეგროვებული ინფორმაციის სანდოობას. აქვე აღსანიშნავია, რომ ინდიკატორებისთვის მონაცემების შეგროვების პროცესში მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს პერსონალურ და განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სპეციფიკა.

---

[6] *https://www.state.gov/wp-content/uploads/2020/01/DRL-Indicator-Reference-Sheets.pdf*

[7] *https://www.undp.org/ka/georgia/publications/pwds-participation-in-decision-making*

[8] *https://sdg.gov.ge/sdg-tracker?fbclid=IwY2xjawFnJhtleHRuA2FlbQIxMAABHdtUqwB3tt2ohEBWL-9qgeFYT1JPXiFa_lHNTbc91dTCXmAVlgmnSFtJEg_aem_qUVqHTaStf1F-pAqonHPiw*

[9] *https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/Gender%20Equality%20Report%20%28GEO%29.pdf*

[10] *https://www.geostat.ge/media/63069/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98-III_%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98.pdf*

#	ტიპი	ინდიკატორები ადამიანის უფლებების მიმართულებით
1	გავლენის ინდიკატორი	ყოველწლიურად დაფიქსირებული ადამიანის უფლებების დარღვევის რაოდენობა, ჩაშლილი ასაკის, გენდერული ნიშნისა და დანაშაულის სიმძიმის მიხედვით
2	გავლენის ინდიკატორი	მოსახლეობის პროცენტული წილი, რომელიც გრძნობს, რომ მათი უფლებები დაცულია
3	გავლენის ინდიკატორი	ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით მიღებული, გადახედილი, გაჩერებული ან შეცვლილი კანონების, პოლიტიკის ან პროცედურების წილი მთლიან რაოდენობაში
4	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	ადამიანის უფლებათა მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანოების რაოდენობა
5	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	ერივნული კომისიების/სხვა დამოუკიდებელი სახლმწიფო ინსტიტუტების რაოდენობა, რომლებიც აქტიურად იკვლევენ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს
6	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	მხარდაჭერილი შემთხვევების რაოდენობა - საჯარო უწყებებში დაზარალებულის/მსხვერპლის მიმართ განხორციელებული მხარდამჭერი ღონისძიებების რაოდენობა
7	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	იმ სახელმწიფო პროგრამების/სერვისების რაოდენობა, რომლებშიც მონაცემთა შეგროვება ხორციელდება სქესის, ეთნიკური ჯგუფის და შშმ პირთა ჭრილში
8	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	საჯარო უწყებათა მთლიან რაოდენობაში, იმ საჯარო უწყებათა წილი, რომლებიც წარადგენენ ანგარიშს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ
9	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	გადამზადებულ უფლებადამცველ პირთა რაოდენობა
10	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	ადამიანის უფლებათა საკითხებზე ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა
11	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	სასამართლო გადაწყვეტილებების რაოდენობა, რომელებიც აღიარებენ მარგინალიზებულ პირთა უფლებებს
#	**ტიპი**	**ინდიკატორები გენდერის მიმართულებით**
1	გავლენის ინდიკატორი	გენდერული ნიშნით, სახელფასო ანაზღაურების სხვაობა (%) ქალ და კაც დასაქმებულთა შორის, სექტორების მიხედვით
2	გავლენის ინდიკატორი	სექტორში დასაქმებული ქალების წილი
3	გავლენის ინდიკატორი	ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსის (WEOI) ქულა
4	გავლენის ინდიკატორი	სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსის(SIGI) ქულა
5	გავლენის ინდიკატორი	სექტორში დასაქმებული ქალების საშუალო ხელფასი
6	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	სამთავრობო და კერძო სექტორში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მყოფ ქალთა რაოდენობა
7	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	ქონებაზე (უძრავი/მოძრავი) საკუთრების ან გარანტირებული უფლების მქონე მოსახლეობას შორის ქალთა წილი

8	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	გენდერული თანასწორობისკენ მიმართული საკითხების ინტეგრირების დონე - პოლიტიკის დოკუმენტებში, სასწავლო პროგრამებში, მასწავლებელთა მომზადება/გადამზადებისა და მოსწავლეთა შეფასების სისტემაში
9	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	პარლამენტში და ადგილობრივ ხელისუფლებაში ქალთა მიერ დაკავებული ადგილების წილი
10	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	ქალთა წილი მაღალ მენეჯმენტში (I და II რანგის მოხელის თანამდებობაზე) ან გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე
11	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	ქალთა კარიერული განვითარებისთვის ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა
12	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	შემუშავებული და განხორციელებული გენდერული თანასწორობის პოლიტიკისა და პროგრამების რაოდენობა, რომელიც მოიცავს კონკრეტულ გენდერულ მოსაზრებებს და გენდერული თანასწორობის სტრატეგიებს.
13	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	საჯარო მოხელეებისთვის ჩატარებული გენდერული მეინსტრიმინგის ტრენინგების რაოდენობა
#	**ტიპი**	**ინდიკატორები შშმ პირების მიმართულებით**
1	გავლენის ინდიკატორი	საჯარო სივრცეების / შენობებისა და სერვისების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც აკმაყოფილებენ სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებისთვის ხელმისაწვდომობის სტანდარტებს
2	გავლენის ინდიკატორი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც ცხოვრების ხარისხს დადებითად აფასებენ
3	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	საჯარო უწყებების ვებ-გვერდების რაოდენობა, რომლებიც ადაპტირებულია შშმ პირებისთვის
4	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	გადაწყვეტილების მიღების პროცესებში შშმ პირთა მონაწილეობის წილი
5	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	ახალი ან/და გაუმჯობესებული მხარდაჭერის სერვისებისა და პროგრამების რაოდენობა სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებისთვის
6	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	საჯარო სექტორებში დასაქმებულ შშმ პირთა რაოდენობა (ასაკის, სქესისა, შესაძლებლობის შეზღუდვის ტიპისა და საჭიროების გათვალისწინებით)
7	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	ეროვნული კანონმდებლობა ჰარმონიზებულია შშმ პირთა უფლებების კონვენციასთან
8	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	საქართველოს პარლამენტის დონეზე არსებობს საკონსულტაციო პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შშმ პირთა და ორგანიზაციათა ჩართულობას კანონქვემდებარე პროცესებში
9	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების მხარდასაჭერად შემუშავებული და ამოქმედებული ინკლუზიური პოლიტიკისა და პროგრამების რაოდენობა

10	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	სსმ პირების ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩართულობის წილი
11	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	შშმ პირთა წინაშე არსებული რისკებისა და ბარიერების შესასწავლად, პასუხისმგებელი უწყებების მიერ ჩატარებული ფოკუს-ჯგუფებისა და ინდივიდუალური შეხვედრების რაოდენობა
12	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დაგეგმილი და განხორციელებული ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების რაოდენობა, რომლებიც ხელს უწყობს შშმ პირების, მათი ოჯახების, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და ფართო საზოგადოების ინფორმირებას შშმ პირთა უფლებებზე
13	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	შშმ პირთა ხელშეწყობისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის წილი
14	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	შექმნილია სსაკოორდინაციო მექანიზმი, რომელსაც აქვს მკაფიო მანდატი,საკმარისი დაფინანსება და უფლებამოსილება, შშმ პირთა უფლებების მეინსტრიმინგისთვის, სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებებში
15	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	შექმნილია სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვების მექანიზმი, როგორც უწყებრივ, ისე სახელმწიფო დონეზე
16	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	მომზადებულია და ქვეყნდება შშმ პირთა საკითხებზე არსებული საკონსულტაციო მექანიზმების ანგარიშები, რომლებიც მისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის და ასახავს ინფორმაციას ამ მექანიზმთა საქმიანობის შესახებ
#	**ტიპი**	**ინდიკატორები ეთნიკური უმცირესობების მიმართულებით**
1	გავლენის ინდიკატორი	ეთნიკური დისკრიმინაციის ან სიძულვილით გამოწვეული დანაშაულის შემთხვევების რაოდენობა (გასული წლების ჭრილში)
2	გავლენის ინდიკატორი	ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის წილი სამთავრობო, განათლებისა და დასაქმების სექტორებში
3	გავლენის ინდიკატორი	4+1 სასწავლო კურსების გასვლის შემდეგ სტაჟირების პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმებული ახალგაზრდების რაოდენობა
4	გავლენის ინდიკატორი	ქართული ენის ცოდნის დონე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების შორის
5	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	საჯარო უწყებების ვებ -გვერდების რაოდენობა, რომლებიც თარგმნილია სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე
6	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის წილი გასული წლების ჭრილში
7	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	ეთნიკური მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის გათვალისწინებით შემუშავებული პოლიტიკის და პროგრამების რაოდენობა
8	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი პროგრამებისა და ინიციატივების რაოდენობა

დანართი N2. სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი

სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი ურთიერთმკვეთი საკითხების პოლიტიკის დოკუმენტებში გათვალისწინების შესახებ

1. გაგვიზიარეთ პოლიტიკის დოკუმენტის დასახელება, რომელზეც ახლა მუშაობთ ან/და რომელიც დამტკიცებულია და განხორციელების პროცესშია.
2. პირველად მუშაობთ პოლიტიკის დოკუმენტზე საქართველოს მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ 629 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად თუ აქამდეც გიმუშავიათ?
3. რას ფიქრობთ ამ დადგენილებაზე და მის მოთხოვნებზე/სტანდარტებზე?
4. იცით თუ არა, რომ დადგენილებაში რეკომენდაციის სახით განსაზღვრულია ურთიერთმკვეთი საკითხების გათვალისწინება?[11]
5. გიმუშავიათ თუ არა ამ საკითხებზე/მსგავსი სახის ინდიკატორებზე (გენდერი, შშმ პირები, ეთნიკური უმცირესობები)?
6. თქვენი დეპარტამენტის/სსიპ-ის პოლიტიკის დოკუმენტში არის თუ არა გათვალისწინებული (იგეგმება თუ არა გათვალისწინება) ურთიერთმკვეთი საკითხები და რა ფორმით?
7. ხომ არ გახსენდებათ მსგავსი სახის ინდიკატორების რაიმე მაგალითი?
8. რა შეიძლება იყოს პოლიტიკის დოკუმენტებში მსგავსი საკითხების/ინდიკატორების ინტეგრირების დადებითი მხარე?
9. რა შეიძლება იყოს პოლიტიკის დოკუმენტებში მსგავსი საკითხების/ინდიკატორების გაწერის პროცესში ძირითადი სირთულეები?
10. როგორ ფიქრობთ, ეს რეკომენდაცია უნდა დარჩეს რეკომენდაციად თუ უნდა მიეცეს სავალდებულო სახე?
11. რა სახის რესურსი/დახმარება გჭირდებათ იმისთვის, რომ შეძლოთ ურთიერთმკვეთი საკითხების გათვალისწინება პოლიტიკის დოკუმენტებზე მუშაობის პროცესში?

---

[11] *„სექტორულ პოლიტიკის დოკუმენტებში მიზნებისა და ამოცანების ფორმულირებისას გასათვალისწინებელია სხვადასხვა ურთიერთმკვეთი საკითხები (cross-cutting issues). მათ შორის არის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა (Human Rights-Based Approach). მაგალითად, გენდერული, უმცირესობების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების საკითხები“.*
„ინდიკატორებზე მუშაობისას რეკომენდებულია, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ურთიერთმკვეთ საკითხებზე, როგორიცაა ადამიანის უფლებები, გენდერული, უმცირესობებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების საკითხები. იმის გათვალისწინებით, რომ სასურველი შედეგები, რომელიც მოსდევს პოლიტიკის განხორციელებას, თანაბრად უნდა გავრცელდეს ყველა ბენეფიციარზე. მსგავსი ტიპის ინდიკატორების განსაზღვრა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ინკლუზიური პოლიტიკის დაგეგმვისა და ეფექტური განხორციელების პროცესს“.
„სარეკომენდაციო ხასიათით შინაარსობრივ კრიტერიუმებში ფასდება წარმოდგენილი გავლენის და ამოცანის შედეგის ინდიკატორებში ურთიერთმკვეთი საკითხების არსებობა“.

დანართი N3. სამაგიდო კვლევის ფარგლებში გაანალიზებული პოლიტიკის დოკუმენტების ჩამონათვალი

1. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2023-2025 წლების გეგმა ცენტრალური ზონისთვის;
2. ერთიანი ჯანმრთელობის სისტემის განვითარების 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმა;
3. თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის;
4. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025 წლებისათვის;
5. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია;
6. საქართველოს 2022 – 2025 წლების საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია;
7. საქართველოს 2023-2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია;
8. საქართველოს სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგია;
9. საქართველოს 2023-2030 წლების ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგია;
10. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030;
11. საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია;
12. საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია;
13. საქართველოში არა გადამდებ დავადებათა პრევენციისა და კონტროლის ეროვნული სტრატეგია 2023-2030;
14. საქართველოს 2022-2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგია;
15. საქართველოს 2022-2030 წლების ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია;
16. საქართველოს შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგია 2021-2024 წლებისთვის;
17. სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026;
18. სახელმწიფო სერვისების განვითარების 2022-2025 წლების სტრატეგია;
19. საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგია;
20. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა 2022-2024;
21. 2021 – 2030 წლების სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა (სტრატეგია);
22. 2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (NEAP 4);